



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ვ. კახიძის №15, 0102, თბილისი, საქართველო; ტელ: (+995 32) 295 23 53; ფაქსი: (+995 32) 292 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 295 23 53; Fax: (+995 32) 292 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ კ-04/140-17

14.02 2017 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე)

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის #274 დადგენილებით „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე დამტკიცებულია „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის გამოყენების განაშენიანების რეგულირების წესები“.

აღნიშნული წესის მე-18 მუხლის თანახმად, „სარეკრეაციო ზონა (რზ) - წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის ტერიტორიის საზღვრებში, მოიცავს ისეთ გამწვანებულ ტერიტორიებს, როგორცაა პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიები, სადაც შესაძლებელია ღია სათამაშო მოედნების, მცირე ზომის სასპორტო მოედნების, მცირე არქიტექტურული და სკულპტურული ფორმების/ნაგებობების, შადრევნების და სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ) ფუნქციონირების უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად. სარეკრეაციო ზონა 1-ში (რზ-1) სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დასაშვებია სასპორტო ნაგებობების, ატრაქციონების, კვებისათვის და გართობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების, კულტურულ-საგანმანათლებლო შენობა-ნაგებობების და რელიგიური დანიშნულების ნაგებობების განთავსება“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე გთხოვთ, მოგვაწოდოთ ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ზონა-1-ში (რზ) ტერიტორიების

გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დაშვებული და სპეციალური
ზონალური შეთანხმებით დასაშვები სახეობების ჩამონათვალი და მათი
განაშენიანების რეგულირების პარამეტრები (მაგალითისთვის იხ. "ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების
წესები"-ს მე-16 მუხლი და დანართი 1-ის მე-8 მუხლი).

პატივისცემით,

ანა ნაცვლიშვილი

თავმჯდომარე

ანა ნაცვლიშვილი

შემსრულებელი: სალომე საღარაძე